№ 170 აგვისტო 11, ოთხშაბათი — 1893 — აგვისტო 11, ოთხშაბათი № 170

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893 · 1877—1893

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და პავლოვის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—11)

კავკავის ქართულ სკოლაში ყმაწვილების მიბარება მომავალ სამოსწავლო წელში შეიძლება 19 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის. ახალ შემოსულები უნდა იყვნენ არა ნაკლებ შვიდის ანუ რვა წლისა და სკოლაში შემოსვლის დროს უნდა მოიტანონ მღვდლისაგან დაბადება-ნათლობის და ექიმისაგან ყვავილის აცრის მოწმობები. სწავლა, ახლ შენობის მთლად დაუმთავრებლობისა გამო, დაიწყება და ცოტა ხნით გაგრძელდება ძველ შენობაში, იქვე უნდა მოიყვანონ ბავშვები სკოლაში მისაბარებლად.

კავკავის სკოლის გამგე-მასწავლებელი ლ. ბოცვაძე (3—3)

ამით ვაცხადებ ქუთაისისო ლქის თავად-აზნაურბა ოდ,- [illegible] რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მისაღები ეგზამენები და სკოლის მოსწავლეთა ხელმეორედ გამოცდა დ აიწყება 2 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1 ენკენისთვეს. თხოვნით მიმართვა სკოლაში შეიძლება 20 აგვისტოდგან.

სკოლის ინსპექტორი ვ. ყიფიანი (3—2)

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

9 აგვისტოს, დილით, მიხეილის საავადმყოფოში 5 ხოლერით ავადმყოფი იყო. ნავთლუღის სამხედრო საავადმყოფოში—1 და რკინის გზის საავადმყოფოში—3.

9 აგვისტოს, პატარა ვანქის ქუჩაზე, საკუთარს სახლში გარდაიცვალა ელისაბედ თახთუმანიძისა 13 წლისა, რომელიც ორი კვირა ფალარათობით იყო ავად. მიცვალებულის გვამი გასჭრეს და ხოლერა აღმოჩნდა.

9 აგვისტოს მუხრანიანთ ქუჩაზე პოლიციის მესამე განყოფილებაში, საიფოვის სახლში ხოლერით ავად გახდა საიფოვის მსახური მარიამ ფოფოვაძისა, 35 წლისა და მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, სადაც იმავე საღამოს სული დალია.

გუშინ პოლიციის მე-9 განყოფილებაში ავად გახდა კონსტანტინე მაჭავარიანი, 12-ს წლისა, რომელიც მოსამსახურედ იყო ტფილისის მცხოვრებელის სუსანა ჯიმშეროვისა, მიხეილის ქუჩაზე, № 92, ულიბეგოვის სახლში. ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

გუშინ, 10 აგვისტოს შუადღისას ტფილისში სულ ცხრა ავადმყოფი იყო ხოლერით.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 7 აგვისტოს, სალამოთი მოხდა ტფილისში საგანგებო კრება ერის ჯანსაღობისათვის მზრუნველ კომიტეტისა. კრებას თავმჯდომარეობდა ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე. დიდის ხნის კამათობის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: აკრძალულ იქმნას ეკკლესიის გალავნებში სამღვთოს დოკვლა. სრულიად აკრძალულ იქმნას მტკვარში ბანაობა. დიდუბის მცხოვრებთ აეკრძალოთ მტკვრის წყალის ხმარება. დაევალოს პოლიციას სასტიკად ადევნოს თვალ-ყური, რომ ბაზარში უვარგისი ხილი არ იყიდებოდეს. გარდა ამისა, კომიტეტმა მიჰმართა დეპეშით კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ ადიუტანტს შერემეტიევს ✠ სთხოვა, მომავალ სექტემბერში ტფილისის ახლოს ნუ მოგროვდება ჯარები და ყველანი იქ დარჩნენ, სადაც არიან დაბანაკებულნიო. მთავარმართებელმა ასეთი განკარგულება ჯერ უდროოდ სცნო. კომიტეტმა მიჰმართა უმაღლესს მთავრობას და სთხოვა, ხოლერის გამო, ტფილისისა და ყველა იმ ქალაქების სასწავლებლებში, სადაც-კი ხოლერა აღმოჩნდება, კანიკულები განაგრძონ და სწავლა გვიან დაიწყონო. კომიტეტმა გადასწყვიტა, კიდევ მომეტებული ყურადღება მიექცეთ ქარხნების მუშებს და გამართულ იქმნას ქალაქში უფასო სანაიები და სასადილოებიო.

ალექსანდრეს ბაღში უფასო სანაიე გაიმართება 12 აგვისტოს. ტფილისის შემძლებელ მცხოვრებთ უკვე შეუწირავთ სანაიესთვის 184 მან. 25 კაპ. 5 ფუთი და 30 გირვანქა შაქარი და 5 გირვანქა ჩაი. იმედია, რომ შეწირულება დღითი-დღე იმატებს.

*** ჩვენ მივიღეთ 22 მან. 50 კ., ბ-ნ იოსებ გველესიანისა და გრიგოლ ელიზბარიშვილის-მიერ შეგროვილი შოთა რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა:

იოსებ გველესიანი 2 მ., სარდიონ ცაგარელი 1 მ. 50 კ., სიმონ გველესიანი 1 მ., ვიქტორ გველესიანი 1 მ., სევერიან ტოგონიძე 1 მ., იოსებ მდივანი 1 მ., ალექსი დეისაძე 1 მ., ილარიონ მამულაშვილი 1 მ., ივან ბეჟანიშვილი 1 მ., გრიგოლ მიქელიანცი 1 მ., სამსონ ბუკია 1 მ., ვანო ვაჩნაძე 1 მ., ესტატე ჩხარტიშვილი 1 მ., გრიგოლ პაატაშვილი 1 მ., გრიგოლ ელიზბარაშვილი 1 მ., აბრამ ელიზბარაშვილი 1 მ., ვლადიმერ წერეთელი 1 მ., თევდორე ლაშქაროვი 1 მ., ივანე მჭედლიშვილი 1 მ., გიორგი ბერიევი 1 მ., იოსებ ლეჟავა 1 მ. სულ 22 მ. 50 კ.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღ. მაზრა), 6-ს აგვისტოს: რომ იტყვიან, „როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო“, სწორედ წლევანდელ მოსავლის საქმეც ასე იყო: პირველ'ში თვალად ძრიელ კარგი პირი უჩნდა ყველგან და აი ამიტომაც ჩვენც ვაქებდით, მაგრამ ეხლა, როგორც დავრწმუნდით, შიგადა-შიგ თითო-ოროლა ემადლიერება მხოლოდ და უმეტეს ნაწილს-კი წლის სამყოფი სარჩო არ მოსვლია.

წლევანდელს ვენახებზედაც ჯერ არა ითქმის-რა გადაწყვეტილი. თუმცა აქამდის ყველგან მთელს მაზრაში კარგი პირი უჩანს, მაგრამ ეხლა და ეხლა სულ სხვა სანახავია. ამ საშინელმა გვალვიანმა ამინდებმა ძრიელ შეაწუხა ყურძენი. ვიდრე დაიკრიფებ-დაიწურება ყურძენი, მანამდის კიდევ ბევრი ფათერაკი აქვს, ნამეტნავად სეტყვის შიში გვაქვს. თავათ სოფ. ახაშენი და ჩუმლაყი დასეტყვა და ვაი თუ ჩვენ ის დღე დაგვაყენოს, საკვირველი არა არის-რა!

ჩვენს მაზრაშიაც განიძრახეს „სამეურნეო კაპიტალის“ დაარსება. მითქმა-მოთქმა დიდია და ვნახოთ, როდის განხორციელდება და დაგვირგვინდება ეს ყოვლად კეთილი საქმე: თუ მაზრის უფროსმა ან თავად-აზნაურთა წინამძღოლმა იკისრა მეთაურობა, აშკარაა, ჩქარა საქმედ იქცევა განზრახვა.

*** გაზეთი „Нов. Время“ იუწყება, რომ საგანგებო კომისიები სექტემბერში შეუდგებიან ქირით გაცემულ სახლებზედ გარდასახადის შემოღების საქმეს.

*** 9 აგვისტოს პოლიციის მეცხრენაწილში დათა დათოშვილის დუქანში პოლიციამ შეიპყრო კაცის მკვლელობის გამო ციმბირში გაგზავნილი და ოთხის წლის წინად იქიდამ გამოქცეული ბეგუმოვი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ოჩამჩირე. ერთს ოთხფეხს ყურსა ხერხავდნენ და ჰკითხეს: გე-

## ფელეტონი

### მატყუარა

(ალფონს დოდესი)

(ფრანგულით)

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა,—გვითხრა ერთს დღეს მხატვარმა დ...—ხუთი წელიწადი ვიცოცხლე მასთან სიტკბოებით და ბედნიერად. თუ ახლა სახელი მაქვს განთქმული—სულ იმის წყალობით. როცა ის გვერდთ მეჯდა, მუშაობა მიადვილდებოდა, ფანტაზიას, ფრთა ესხმოდა. გავიცანი თუ არა, ისე მეგონა—დასაბამითვე ჩემი იყო-მეთქი. მისი სილამაზე, ხასიათი,—ყველაფერი ჩემს ოცნებას ეთანხმებოდა. რაც ერთმანერთი გავიცანით, მას აქედ ჩემთვის თავი არ დაუნებებია; ჩემს სახლში განუტევა სული, ჩემს ხელში, და რო კვდებოდა, მაშინაც ჩემი სიყვარული ჩარჩა გულში... მაგრამ რა... როცა მას ვიგონებ, სიბრაზით გული ყელში მებჯინება. თუ ვცდილობ ეს ქალი იმ სახით წარმოვიდგინო, როგორიც ხუთის წლის განმავლობაში იყო, როცა მისდამი ჩემს სიყვარულს საზღვარი არა ჰქონდა: წერწეტი ტანი, მკრთალი სახე, წყნარი ლაპარაკი, მხიბლავი თვალები,—ჰო, თუ ვცდილობ ხორციელვყო ეს მომჯადოებელი მოჩვენება,—მხოლოდ იმიტომ რომ გულიანად ვუთხრა: „მძულხარ“!...

კლოტილდა ერქვა. იმ სახლში, სადაც ჩვენ პირველად ერთმანერთი გავიცანით, მას ქ-ბნ დელოშის სახელით იცნობდნენ და ამბობდნენ ერთის შორს მგზავრობაში დაღუპულ გემის უფროსის ქვრივი არისო. მართლაც-და, მის ლაპარაკისათვის რო გეყურებინათ, იტყოდით—ბევრი უნდა ემგზავროსო. ბაასის დროს ხშირად გაურევდა ხოლმე: „როცა ტამპიკოში ვიყავ“... ან არა-და; „ერთხელ ვალპარეზოს ნავთსადგურში“... სხვაფრივ-კი ვერც მიხვრა-მოხვრაში და ვერც ლაპარაკში ვერ იპოვიდით მგზავრობას მიჩვეულ ადამიანის ნიშნებს. კლოტილდა თითქო ნამდვილი პარიჟული ქალი იყო.

მისდამი სიყვარული ვიგრძენ თუ არა, ჩემი პირველი, ერთად-ერთი აზრი ის იყო—ცოლად შემერთო. მეგობრებიც გამომიჩნდნენ, რომელთაც ჩემი წადილი გადასცეს. „ქმარს ჩემს სიცოცხლეში აღარ შევირთავო“—შემომითვალა. ამას შემდეგ მის ნახვას ვერიდებოდი; მაგრამ გული იმდენად დამეკოდა, ამ ქალზე ფიქრმა ჩემი გონება-აზრი იმდენად შეაპყრო, რომ შეუძლებელი შეიქმნა სულ უბრალო-რამ გამეკეთებინა. ბევრის წვალების შემდეგ გადავსწყვიტე ჩემი დარდი მოგზაურობაში გამექარვებინა. ერთ დილას სამგზავროდ ბარგს ვალაგებდი, ღია ზანდუკები, ნახევრად გავსებული ბოღჩები, მიყრილ-მოყრილი ნივთები—ყველაფერი დომხალივით იყო ერთმანერთში არეული. ამ დროს—წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება—ჩემ'ს ოთახში ქ-ნი დელოში შემოვიდა.

— რა ამბავია, სად მიბრძანდებით?—ტკბილად მკითხა.—იმიტომ ანებებთ თავს აქაურობას, რომ გიყვარვართ, განა? მეც მიყვარხართ... მხოლოდ (ამის თქმაზე ხმა ოდნავ აუკანკალდა)... მხოლოდ, აბა როგორ გითხრათ... ქმარი მყავს.

და მთელი თავისი თავგადასავალი მიამბო.

თვალწინ გადამიშალა მთელი რომანი სიყვარულისა და ტანჯვა-წვალებისა. ქმარი სვამდა და სცემდა თურმე. სამის წლის ასეთის ცხოვრების შემდეგ გაყრილან. ჩემი მშობლები,—განაგრძო მან,—რომლებითაც ვამაყობდი და თავი მომწონდა, პარიჟის მაღალ საზოგადოებაში ცნობილნი იყვნენ, მაგრამ, რაც გავთხოვდი, ჩემზე ხელი აიღეს. ბიძაჩემი წარჩინებული რაბინი არის. ჩემი დაი პირველად ერთს პოლკის უფროსს მისთხოვდა; რო დაქვრივდა, მეორედ სენ-ჟერმენის ტყის რევიზორმა შეირთო. მე-კი ქმრისაგან გავუბედურდი, მაგრამ ისეთ ნიჭიერ ოსტატების ხელ-მძღვანელობით ვიზრდებოდი, რომ მის წყალობით დღეს დაუყვედრებელ ლუკმა-პურსა ვჭამ. მდიდარ სახლებში პიანოს გაკვეთილებს ვაძლევ და საკმაო შემოსავალიცა მაქვსო.

მისმა ლაპარაკმა გული ამიჩუყა. ცოტა არ იყოს, გააბა, მაგრამ მთელი ნაამბობი სავსე იყო მხოლოდ სასიამოვნო სიტყვებით; მთელი მისი ცხოვრება თავით ბოლომდე დაუსრულებელს ხიფათს წარმოადგენდა. უამისოდ ხომ ქალი ვერას იტყვის! სანამ ყველაფერს მიამბობდა, რამდენიმე დღე გავიდა.

„ღელოფლის ხეივანზე“ ჩუმ და მცენარით მოსილ ქუჩებ შუა ორივესათვის ერთი სახლი დავიქირე.

ყურება რამე, თუ არაო? იმან უპასუხა: არ ვიცი რაღაცა რახა-რუხიკი მესმისო! ამისი არ იყოს, ჩვენც რახა-რუხი გვესმის ფოთიდგან, სადაც ხოლერას უჩენია თავი და 31 ივლისს ათი გამხდარა ავად და ექვსი გარდაცვლილა. არც არის წარმოსადგენი, რა გულ-გრილად და დინჯად მოისმინა ჩვენმა საზოგადოებამ ეს სამწუხარო ამბავი, თითქოს სიმინდის ფასის დაწევის ცნობა მოსვლოდეს. რას უნდა მივაწეროთ ამ გვარი გულ-გრილობა და უზრუნველობა დაბის ავ-კარგიანობაზედ და სიკვდილ-სიცოცხლეზედ? ოჩამჩირლების მამაცობას? არა, უფრო უთაობას და უპატრონობას.

ყველაფერს დავანებოთ თავი და ერთი გარემოება წარმოვიდგინოთ: ვსთქვათ, ოჩამჩირლებმა შეჰკრეს ხოლერასთან მეგობრობის პირობა და უთხრეს, შეგვიწირავს შენთვის ჩვენი სიცოცხლეო, მაგრამ ნუ თუ არავინ არც კანონით, არც სინიდისით, არ არის მოვალე, რომ ან ნებით, ან ძალით, შეაგონოს ამ ხოლერის მოკავშირეთ, რომ მათმიერ ხოლერასთან შეკრული სამეგობრო პირობა მთელს აფხაზეთს საშიშარს მდგომარეობაში აგდებს. თუ ჩვენ დაბაში ხოლერამ თავი იჩინა, სულ ადვილად მთელს სოფლებს მოედება, რადგანაც აქ კარგს ნიადაგს იპოვის: სოფლებიდან დაბაში თითქმის ყოველ დღე შემოდის 80—100 დატვირთული ურემი.

ჩვენ ჩვენის მხრით ერთი-ღა დაგვრჩენია, კიდევ ხელ-მეორედ და უკანასკნელად გამოვაშკარავოთ, რასაც ჩვენ დღეს დაბაში ვხედავთ და, თუ ჯოჯოხეთში არა ვსცხოვრობთ, სადაც ხმა არის და გაგონება არა, იქმნება ვინმემ გაიგონოს ჩვენი ხმა. აი დაახლოვებით, დღეს რა მდგომარეობაში არის ჩვენი დაბა: სასანიტარო დასები ამ წელს სულ არ ყოფილა და არც დღეს არის, შარშან ვინც მსახურობდა სასანიტარო მზრუნველად, ზოგმა შარშანვე შეიტანა დათხოვნის ქაღალდი, ზოგი აბასთუმანს წავიდა და ზოგი სად. დაბაში გავლა-გამოვლა თუ ცხვირზედ ხელსახოცი არ მიიფარე, შეუძლებელია. ყოველ დღე დაბაში მოდიან ასამდე სიმინდით დატვირთული ურმები და გროვდებიან ზღვის პირად, იქ, სადაც სასიმინდე მაღაზიებია; აქავე გროვდებიან ყოველ დღე ათას ნაირი მუშები ხომალდებზედ და სანდლებზედ მოსამსახურეები, ღორები, ძროხები, ბატები და სხვა ცხოველები. ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რა სისუფთავე უნდა იყოს ჩვენ დაბაში, გარდა იმისა, რომ თვით ჩვენი დაბა ჭაობიანი ადგილია და სასმელად გვაქვს დამპალი ჭის წყალი. მუშების ბედ-იღბალზედ აქ მზრუნველი არავინ არის. ორი-სამი დღეა მას აქეთ, რაც აქ ერთი მუშა გარდაიცვალა, როგორც ექიმმა შეამოწმა, სიმშილით. უფასო ჩაიზედ, მოხარშულ წყალზედ მუშებისთვის და სხვა სამკურნალო საშვალებაზედ აბა ვინ ამოიღებს ხმას.

თუ ჩვენი საზოგადოება არ გამოიღვიძებს, რომელიც ღრმა ძილს მიეცა შემდგომ იმისა, რაც დანოსებისა და საჩივრების წერა-გამოკვლევა გათავდა და ორთა დასს შორის ჩხუბი შეწყნარდა, მაშინ ჩვენ თვითონ უნდა შევეხვეწოთ ხოლერას, იქმნება მან შეგვიბრალოს. დღეს, როგორც ამბობენ, აქ ერთს განყოფილების უფროსს მოსვლია ბრძანება, რომ ენგურზედ ყარაულები დააყენონ და ფოთიდან მომავალი მგზავრები კარანტინში გაატარონო. დღესვე გავიგეთ, რომ დაბაში სანიტარელ დასების წევრებს ეძებდნენ, მაგრამ ვერ ამოაჩინეს, ვინ არის წევრად და ვინ არა.

ბა—ლია

5 აგვისტო, 1893 წელს.

## წერილი მურღულიდგან

(ართვინის ოლქი)

II

მურღულელნი წინად თვით აკეთებდნენ თავიანთ ტანთსაცმელს და ფეხთსაცმელს. თამბაქოც მოჰყავნდათ, ამათის თამბაქოს ფოთოლი ძლიერ განთქმულია. ეს ხალხი ოსმალს პირველად არაფერს ხარჯს აძლევდა, ბოლოს და ბოლოს-კი შემოიღეს გარდასახადი სიმინდითა და თამბაქოთი. 1840 წ. ეს მხარე ცოტად ცნობილი გახდა ოსმალოს მთავრობისთვის, რადგანაც ამ დროებში ოსმალმა მათ ნისამი მოსთხოვა. პირველ ხანებში ესენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და არ ემორჩილებოდნენ, მაგრამ ორის წლის შემდეგ დაემორჩილნენ ხონთქრის ბრძანებას, რადგანაც ხოჯა მოლებმა იწყეს ქადაგება, რომ ფადიშაჰის ურჩობა არ შეიძლებაო. ესენი დაემორჩილნენ, მაგრამ თავიანთ ჩვეულებას მაინც არა სტოვებდნენ.

ქრისტიანების დაკარგვის შემდეგ მურღულში მოისპო ქართული წერა-კითხვა და ქართული წიგნებიც. ამის მაგიერ თათრულს უნდა ეწყო გავრცელება, მაგრამ ვერც ეს მოიფინა. აქ ენის გარდა ყველაფერი მოისპო ქართული მხოლოდ ენა დაშთა ისე სუფთად, რომ მურღულის ხეობის ქართველ მაჰმადიანები ყველა ქართველ მაჰმადიანებზე უფრო კარგად ლაპარაკობდნენ ქართულს წმინდა ქართულის დარბაისლურის ენით და ამათ საუბარში კაცი ისე ხშირად ვერ გაიგონებდა ოსმალურს სიტყვებს, როგორც სხვა მხრის მაჰმადიანებში. ამათი ქართულ ენის ასე შენახვის გამო ალტაცებული იყო განსვენებული დ. ბაქრაძე, მოგზაური გ. ყაზიბეგი და ნამეტურ გრ. გურიელი, რომელმაც მურღულელების შესახებ ძლიერ ბევრი ძვირფასი ამბები იცოდა.

მურღულელებმა საქართველოსთან შემოერთებამდე, ფულის ხსენება არც-კი იცოდნენ თურმე. ფული თვალით არ ენახათ. ამათ როცა რუსის ფული ნახეს, მაშინ დიდათ გაჰკვირდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ. ამას გარდა ბევრი კიდევ სხვა რამეები არა სცოდნიათ. ექიმობა და წამალი აქ თითქმის არც-კი სცოდნიათ. ამათი მოხუცებული დედაკაცები სწამლობდნენ ხალხსა, და ხშირად ქართულ შელოცვას მიჰმართავდნენ. აქეთ თითქმის ყველას სცოდნია, რომ ისინი წინად ქართველები, ქრისტიანები ყოფილან და მერე გაუთათრებიათ. ამათი და საერთოდ ლივანა-აჭარის გათათრება ბევრად უგვიანეს მომხდარა ვიდრე ახალციხისა და ჯავახეთის გათათრება. ჩვენის ისტორიით ყველასთვის ცხადია, რომ 1626 წ. ბექა ათაბაგ (ჯაყელმა) მიიღო სტამბოლში მაჰმადის სჯული. 1629 წ. მან მაჰმადის სჯულის გავრცელება სამცხეში დაიწყო და ეს მხარე მალეც გაათათრა. აქეთ-კი მის წინააღმდეგ დარაზმულან, წინააღმდეგობით კარგა ხანს დაშთენილან და ბოლოს მაინც გათათრებულან. აქეთ ყველა უარს ამბობს, რომ არა, ჩვენ ათაბაგების ხელით და მის დროს არა ვართ გათათრებული, უფრო აქეთ დროშიო. ბექა ათაბაგის შთამომავალნი დღეს შავშეთში სცხოვრობენო.

ოსმალოს მფარველობის დროს მურღულში რამდენიმე ათასი კომლი სცხოვრებდა. მაშინდელი ამათი ოჯახები მეტად დიდი ოჯახები ყოფილა, ასე რომ ზოგში 30—40 სული სცხოვრობდა და ზოგში მეტ ნაკლებიო. მაშინ ძმები განუყრელად სცხოვრებდნენ ერთად, მათში უშვილოთ არავინ შთებოდაო: კაცს რომ ერთის ცოლისაგან არ მისცემოდა შვილი, მაშინ ის მეორესაც ადვილად ირთავდა და გარდა ამისა მოლა-ხოჯები ორ ცოლის შერთვას იმიტომ უფრო ჰქადაგებდნენ, რომ მუსულმანის სარწმუნოების ერი გამრავლდესო. ამათ გამრავლებას ერთი ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მურღულში მეტად მშვენიერი ჰაერია, წყაროები ცივი. აქეთ რამე ჭირის გაჩენა არ იცის და ხალხი დიდხანს სცოცხლობს. ერთმა ხოჯამ სთქვა, ერთს სოფელში 5 წელიწადი ვიყავი ხოჯად და ჩემს ყოფნის დროს მხოლოდ ერთი მოხუცებული დავასაფლავეო. ახალგაზდა ხალხი იქ არ იხოცებაო.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ხალხი მოლებისა და ხოჯების მეოხებით დაიხოცა მაშინ, როცა ეს მხარე რუსეთმა აიღო, ზოგიერთ მავნე კაცებმა ამათ ბევრი ცუდი რამეები შეასმინეს რუსებზე და ამის მეოხებით მთელი მურღული თითქმის სულ გადასახლდა და მუჰაჯირად წავიდა წლინახევრის განმავლობაში. ასე რომ მთელს მურღულში მხოლოდ შვიდი მოსახლე ღა დაშთაო, ერთი მოსახლე ძველ-აზნაურის გვარისა ბოლქვაძე, სოფ. ტრაპენში მცხოვრებელიო. აი წინედ რა სოფლები ყოფილა მურღულში, სადაც თითო სოფელში, რაც უნდა პატარა ყოფილიყო, 50 მოსახლეზე ნაკლები მაინც არ იქმნებოდაო:

1, ტრაპენი, ჭოროხისა და მურღულის წყლის შესართავს ზემოდ, მთლად გადასახლდნენ. 2, არხვა. აქ დარჩა ერთი კომლი ბოლქვაძეების გვარისა, რომელ გვარის ზოგიერთ პირთ ქართული წერა-კითხვაც სცოდნიათ. 2, ქვანა, 3, ქამალეთი, 4, პუჭგრეთი, 5, ერგვანა, 6, კორიდეთი, 7, ოსმალო. წინეთ ამ სოფელს სხვა სახელი რქმევია. აქ სცხოვრობს ერთი ქრისტიანი ქართველი, ომანიძე, რომელიც მევენახეობს მისდევს, ღვინოსა და არაყს, ღაჟღაჟებს, თამბაქოს სთესავს და მით ვაჭრობა აქვს გამართული. 8, დუჩა, 9, მეზრე, 10, ადუჩა, 11, ძანცულო, 12, ერგვანა, 13, ილკევი, 14, კაპარჭეთი, 15, გურბინი, 16, ბაგა, 17, ქურა, 18, ჩხალეთი, 19, გოგილეთი, 20, ბაშქორი, 21, ფორსეთი, 22, ჭალავი, 23, გომჩირეთი, 24, ურძუმა, 25, ავანა, 26, ნაღვარევი, 27 კევლი, 28, ზედა-იქურა და სხვა წვრილმანი სოფლები. ეს სოფლები რუსეთის ნაწილშია. რუსის საზღვართან ახლოს მდებარე სოფლები ესენია:

1, პოტოჭური, სადაც ქართულ ენაზე მოსაუბრე მაჰმადიანები სცხოვრობენ.

2, ორჯი, ისევე ქართულს ენაზე მოსაუბრენი არიან.

3, სიდირეთი და

4, დილარგეთი. ყველა ამ სოფლებში და სხვაგანაც მაჰმადიანები თავიანთ სამშობლო (ქართულს) ენაზე ლაპარაკობენ. აქეთ, თუ სადმე ძველი ხიდებია ან კოშკები და ეკკლესიის ნანგრევებია, ყველა ამას მურღულელები თამარ მეფის დროს აწერენ. მურღულის წყალზე გაკეთებულია ერთი მაღალი ქვის ხიდი, სიგრძით 30 საჟენზე მეტი. ამ ხიდის კეთება ოსმალოს დროს ერთ ქართველ მაჰმადიანს დაუწყვია, მაგრამ ომის გამო ველარ დაუმთავრებია და თვითონაც ოსმალში წასულა მუჰაჯირად.

ზ. ჭ.

## რუსეთი

შარშანდელმა ცუდმა მოსავალმა რუსეთში და წლევანდელმა ბაჟების აწევამ რუსეთისა და გერმანიის-მიერ ყველა შეაფიქრიანა რუსეთში, ვისაც-კი გული შესტკივა თავის სამშობლოსათვის. ყველა მიხვდა, რომ სახელმწიფოს ბედი და უბედობა იმ გლეხზეა დამოკიდებული, რომელზედაც ლაპარაკიც-კი არ შეიძლებოდა ამ ათ-თხუთმეტის წლის განმავლობაში.

---

მთელი წელიწადი რომ იმის გვერდთ ვმჯდარიყავ და იმის ჭიკჭიკისათვის ყური მეგდო, სამუშაო არ მომაგონდებოდა. პირველად იმან მითხრა, შედი შენს სახელოსნოში და იმუშავეო. თვითონაც გაკვეთილების ძლევა განაგრძო. დამოუკიდებელ ცხოვრებისადმი მისი სიყვარული საშინლად მომწონდა. მაკვირვებდა მისი სიამაყე, მისი წადილი მხოლოდ თავის შრომით ცხოვრებისა. მთელი დღე ერთმანეთს ვერა ვხედავდით. მხოლოდ საღამოზედ შევიყრებოდით ჩვენს პატარა სახლში.

უნდა იცოდეთ, რა ბედნიერებით სავსე გულით მოვდიოდი შინ, ან როგორ ვწუხდი, როცა ის მოსვლას ცოტად დაიგვიანებდა. ხოლო ჩემზე ადრე მოსულს რომ ვნახავდი, სიხარულით ცას დავეწეოდი ხოლმე. ისე არ დაბრუნებოდა, რომ თაიგულები ან ძვირფასი ყვავილები არ მოეტანა ჩემთვის. ხანდისხან ძალად რამე საჩუქრებს მივაჩეჩებდი, მაგრამ სიცილით უარს მეტყოდა—მე შენზე მდიდარი ვარო. მართლაც-და, როგორც ეტყობოდა, გაკვეთილებით დიდს სასყიდელს იღებდა და ამით სულ მუდამ კოხტად და მდიდრულად იყო ჩაცმულ-დახურული. მისი სამგლოვიარო ტანისამოსი, რომელსაც, უეჭველია, სიკოხტავისა და სილამაზისათვის იცვამდა, მუქის ხავერდისა იყო, ბრჭყვიალა წინწკლებიანი, აბრეშუმის ქსოვილით აჭრელებული.

„არც მძიმე ხელობა მაქვსო,—მეტყოდა ხოლმე,—ყველა მოწაფეები—მებანკეების და შეძლებულ კაცების ქალები—მადმერთებენ და უზომო პატივსა მცემენო. რამდენჯერ უჩვენებია ჩემთვის ძვირფასი ბეჭდები და სამაჯურები,—მადლობის ნიშნად შეგირდებმა მომართვესო. მუშაობას რომ მოვრჩებოდით, სულ ერთად ვისხედით, სახლიდგან არსად გავდიოდით. მხოლოდ კვირაობით თავის დის, რევიზორის ცოლის, სანახავად მიდიოდა,—დიდი ხანი არ იყო, რაც შეურიგდა. მე სადგურამდე გავაცილებდი. საღამოზე, ჯერ ბინდი არ იყო, რომ უკან მოდიოდა. მე კიდევ ქალაქ გარედ წყლის პირას ან ტყეში დავხვდებოდი. მომიყვებოდა როგორ დაუხვდნენ თავის დის სახლში, ბავშვობის ჯან-საღობაზე, ცოლ-ქმრის და ოჯახის კარგად მოწყობაზე. რო ვუსმენდი, მის საცოდაობით გული მეფუფქებოდა. ყველა სტკბებოდა ოჯახის ბედნიერებით, ცოლ-ქმრულის სიყვარულით, მხოლოდ ის იყო უბედური. მის პატიოსნებით სავსე გულის ამბავი რო ვიცოდი, მოსვენება არ უნდა ჰქონოდა. ამიტომ ვცდილობდი ყოველივე დარდი ალერსით გამექარვებინა.

ტკბილად და ნეტარებით მოსაგონარია ჩემთვის ეს შრომისა და ურთიერთის ნდობის დრო! ჯერ იჭვი არაფრისა მქონდა. მხოლოდ ერთს რასმე ვაყვედრიდი. ზოგჯერ, რა ვიცი, რა ჭორებს არ მიამბობდა... ჩემის შეგირდების სახლში ესა-და-ეს მოხდა, ამ ადგილას უცნაური ამბავი დატრიალდა და სხვა. თავის გარშემო მხოლოდ რომანი ელანდებოდა. მთელი მისი სიცოცხლე დრამატიულის მიკიბვ-მოკიბვით იყო სავსე, მისი საუბარი გულს მიწყლულებდა. მხოლოდ მასთან ჯდომას მთელს ქვეყნიერებას ვანაცვალებდი, ოღონდ მისთვის მემზირნა, მისის ალერსით გავმძღარიყავ და ყველაფერს დავთმობდი. ის-კი ერთთავად უმნიშვნელო რამეებზედ მელაპარაკებოდა. მაგრამ აბა რა სინიდისი მომცემდა ნებას ეს მცირე რამ არ მეპატიებინა ამ ახალგაზდა და უბედურ ქალისათვის, მხოლოდ ერთხელ გამირბინა ეჭვმა თავში. ერთ კვირაღამეს შინ არ მოსულა. ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი არა ჰქონდა. რა ვქნა? წავიდე სენ-ჟერმენში—ვაი თუ ხალხი ცუდად ავალაპარაკო, თუარა-და რა წყალში ჩავარდე? სად წავიდე, ვისა ვკითხო? აბა რა დამაძინებდა!.. გულმა ვერ მოითმინა და გადავსწყვიტე მის საძებნელად სავსულიყავ. ამ დროს, ვნახოთ, მოვიდა. სახე გაფითრებოდა, მთელი ტანი უკანკალებდა.—„დაჲ ავად გამიხდა და იმიტომ შემიგვიანდაო“—მითხრა. მეც ვერწმუნე, ოდნავ იჭვიც არ შემიტია.

საუბედუროდ რამდენისამე დღის უკან ახლა თვითონ ჩავარდა ლოგინად. ერთხელ გაკვეთილებიდგან ამოწუნწლული დაბრუნდა, აჟრჟოლებდა, კბილი-კბილზე უცემდა, გაეციებინა. ფილტვების ანთება გიმოაჩნდა. ექიმმა მითხრა-მორჩენის იმედი გადაიწყვიტეო. უსაზღვრო იყო ჩემი მწუხარება. ვატყობდი თავსა, რომ გონება მერყეოდა, ვგიჟდებოდი. ხოლო სულ იმაზედ-ღა ვფიქრობდი, რომ ჩემ ძვირფას არსებისთვის უკანასკნელი წამი ტკბილად გამეტარებინებინა. გადავწყვიტე მომეყვანა მისი მშობლები, რომლებითაც მას თავი მოჰქონდა, და მომაკვდავი მეჩვენებინა. ჯერ მის დას სენ-ჟერმენში წერილი გავუგზავნე, მე-კი

აქამომდე ეგონათ, რომ გლეხი ისეც ბედნიერია, იმდენი პური(ნახული მოჰყავს, რომ ვერსად დაუტევია, თვითონაც ჰყოფნის და მოჭარბებულს საზღვარ გარედაცა ჰგზავნის ხუთას-ექვსას მილიონ ფუთობით. სხვა რაღა უნდაო?—ჰფიქრობდნენ და პირი ვაჭრობა-მრეწველობისაკენ ჰქონდათ მიქცეული.

ეხლა-კი სულ სხვა აზრს დაადგნენ, მაგრამ, საუბედუროდ მეტად გვიან.

აღმოჩნდა, რომ რუსეთის გლეხს არამც თუ მოჭარბებული არა აქვს პურნახული, არამედ თვითონაც არა ჰყოფნის წლის მოსავალი. საერთოდ რომ ვიანგარიშოთ, თითო სულს შეხვდება 22 ფუთამდე პურნახული. ეს არის მისი ავლა-დიდება. ამით თავიც უნდა გამოიკვებოს, ტანთაც ჩაიცვას და მრავალნაირი ხარჯიც გაისტუმროს. ხოლო ცნობილია საზოგადოდ, რომ თითო სულს საჭმელად მოუნდება არა ნაკლებ 27 ფუთის პურნახულისა წელიწადში. მაშასადამე, რუსეთის გლეხს, რომ მაძღრისად იკვებებოდეს, უნდა ჰქონდეს კიდევ, იმას გარდა, რაც თვითონ მოჰყავს, ხუთი ფუთი პურნახული მაინც წელიწადში, ანუ მთელს სახელმწიფოს—600 მილიონი ფუთი. თუ ამას ისიც დაემატა, რომ მოსავალი თანდათან კლებულობს და ამ ბოლოს დროს იშვიათად არის ისეთი მოსავალი, რომ თვითო სულს 22 ფუთი შეხვდეს, მაშინ რუსეთის გლეხის გაჭირვება უფრო ნათლად გამოჩნდება

მაგრამ ეს ცოტაა!

საზღვარ გარედ რომ ყოველ წელს 500—600 მილიონი ფუთი პურნახული გააქვთ რუსეთიდგან გასასყიდად, ეს პურნახული საიდგან-ღა? უეჭველია, იმ 22 ფუთიდგან, რომელიც გლეხსა ჰხვდება კარგის მოსავლის დრის, ის კიდევ იკლებს, თვით ნახევარზედ მშიერია და სხვას-კი უგზავნის თავის ნაშრომ-ნადაგს.

ესეც კიდევ ცოტაა!

ზემოდ ნაანგარიშევ პურნახულში არა მარტო პური, არამედ ქვავი, ქერი, შვრია, სიმინდი და კარტოფილი. აქედგან საზღვარ გარედ, რასაკვირველია, ხორბალი იგზავნება, და თვით გლეხს მხოლოდ პირუტყვთა საკვებილა რჩება.

აბა ამაზედ არის ნათქვამი: „შინ რომ ბავშვები სტიროდნენ, გარედ ტაბლას რა უნდაო“.

## უცხოეთი

**ინდოეთი.** ბომბეიში მომხდარ უწესოების გამო გაზეთები სწერენ: ინდოელების ეკკლესიასთან მაჰმადიანებს ძროხა მოუკლავთ თურმე. ინდუსებს ძროხა წმინდა პირუტყვად მიაჩნიათ და ამ ამბის გამო ძლიერ გაჯავრებულან. ხოლო მაჰმადიანებიც ძლიერ აღელვებულან შემდეგის ამბის გამო: 29 ივლისს ბომბეის მაჰმადიანებს დღესასწაული ჰქონდათ და მერე მეჩეთებში შეიკრიბნენ სალოცავად. ამავე დღეს დღესასწაული იყო ინდოელებისაც. ჩვეულებისამებრ ინდოელებმა ასტეხეს ერთი ყვირილი და სხვა და სხვა საკრავების დაკვრა. მაჰმადიანებს ეს ძლიერ ეწყინათ, ლოცვას გვიშლიანო; შეიკრიბა 2000 მაჰმადიანი და დაეცა ინდოელებს. საქმეში ჩაერია პოლიცია, და როგორც იყო, ხალხი დააშოშმინა. მაგრამ ამ დღიდგან დაიწყეს მაჰმადიანებმა და ინდოელებმა ერთმანეთის ქლეტა სხვა და სხვა ქალაქებსა და დაბებში.

## წვრილი ამბავი

სოციალისტთა კონგრესი ციურიხში ვჭვე დაიშალა. კონგრესმა დაადგინა: ა) კონგრესი იმეორებს იმ გარდაწყვეტილებას, რომელიც იყო დადგენილი ბრიუსელის კონგრესზე. ბ) ყველა სახელმწიფოთა სოციალისტები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ 1 მაისის გადეცვასა. გ) 1 მაისის მანიფესტაცია უნდა ეცადოს, დაკანონებულ იქმნას დღეში მხოლოდ 8 საათის მუშაობა და მოისპოს განსხვავება სხვა და-სხვა წოდებათა შორის. ამას გარდა გადაწყვეტილია შემდეგი: დედაკაცებმა დღეში 10 საათზედ მეტი არ უნდა იმუშაონ და კვირაში 36 საათს სრული მოსვენება მიეცეთ. 16 წელზედ უმცროსმა დღეში 6 საათზედ მეტი არ იმუშაოს, მშობიარობის წინ ორ თვესა და შემდეგ 4 თვეს არ ამუშავონ. ყველა ქარხნებში, სადაც დედაკაცები მუშაობენ, ზედამხედველად დედაკაცივე უნდა იყვეს.

შემდეგი კონგრესი სოციალისტებისა დანიშნულია ლონდონში 1895 წ.

— ხოლერა რომშიაც გაჩნდა. ლონდონიდგანაც იუწყებიან, აქ ერთი კაცი გახდა ავად ხოლერითაო.

— ისპანიაში დიდი უწესოება მოხდა, თითქმის აჯანყება ხალხისა. უწესოება დაიწყო ვიტორიაში, როცა სამხედრო მინისტრმა გაიარა ქალაქზედ. მიზეზი უწესოებისა გარდასახადის მომატებაა. პრეფექტმა და გუბერნატორმა ურჩიეს ხალხს, დაიშალეთო, მაგრამ ხალხმა სტვენა და ქვების სროლა დაუწყო. ორთავენი მსუბუქად არიან დაჭრილნი. ბოლოს ჯარი მოიწვიეს და ხალხი დაამშვიდეს. ასეთივე უწესოება მოხდა ნავარაშიაც.

— ინგლისის მადნების გაფიცულ მუშების რიცხვი თანდათან მატულობს. გამოანგარიშებულია, რამდენსა ზარალობს ინგლისი ამ გაფიცვის გამო. თვით მუშები კვირაში ჰკარგავენ 11,000,000 ფრანკს. მადნის პატრონები ზარალობენ 2,000,000 ფრანკსა, რკინის გზები—3,625,000 ფრ. გემები—4,125.000 ფრ. ქარხნები 10,500,000 ფრანკს და მეიდველნიც, ქვის ნახშირის ფასის აწევის გამო—6,250,000 ფრ. სულ ერთ კვირაში, მუშების გაფიცვის გამო, ზარალია 37,500,000 ფრ.

— ათინიდგან იუწყებიან, რომ 3 აგვისტოს, კუნძულ სამოსის მცხოვრებთ დიდი ჩხუბი მოსვლიათ ჯარებთან. რამდენიმე სოფელი სრულიად განადგურებულია.

— ჩვეულებადა აქვთ ბედნიერ ცოლქმართ იდღესასწაულონ 25 წელი ქორწინებისა (ვერცხლის ქორწილი) 50 წელი ქორწინებისა (ოქროს ქორწილი) და 62— წელი ქორწინებისა (ბრილიანტის ქორწილი). მაგრამ რაღა სახელი უნდა დაარქვათ 100 წლის ქორწინების დღესასწაულს.

ასეთი დღესასწაული გადიხადეს სამხრეთ-ვენგრიაში მოხუცებულ ცოლქმართ შატმარებმა, რომელთაც 100 წელი შეუსრულდათ ქორწინების დღიდგან. ვენგრიელები დიდს პატივსა სცემენ თურმე ამ ახალ ფილიმონსა და ბავკიდას.

— ისტორიულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ კოლუმბის ექსპედიცია ამერიკის აღმოსაჩენად გამგზავრებული 1,140,000 მარავედი დაჯდარა. მარავედი მაგრების ფულია და ჩვენებურს გაპიკ ნახევარს უდრის. გამოდის, რომ ამერიკის აღმოჩენა ისპანიის მთავრობას 14,592 მან. დასჯდომია. კოლუმბს, როგორც ადმირალს, წელიწადში 768 მარკა ჰქონია, ე. ი. 640 მან.

— შეერთებულ შტატების ნაციონალურ მუზეუმ, ვაშინქტონში, ერთი ძვირფასი და იშვიათი ნივთი შეუძენია. ეს არის მასკა, რომელიც დასავლეთ ჩრდილოეთის მხარეს ალიასკის ნახევარ კუნძულზედ უპოვნიათ. მასკა ხელოვნურად დაჩუქურთმებული და გამოჭრილია ნაძვის ხისაგან. თვალების ადგილას ორი ბრინჯაოს ფული აქვს ჩასმული. ამ ფულს ჩინური ზედ წარწერა აქვს. ალბად ჩინეთის გემებს უწინ მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ალიასკის ნახევარ კუნძულთან.

## გასართობი

პიემონტის ერთ გაზეთში დაბეჭდილია ორი ახალი ამბავი.

*** „მობრძანება ბ-ნ ჯიოლიტისა. მინისტრ-პრეზიდენტი გუშინ მობრძანდა ჩვენს სადგურზედ. დაუხვდნენ პრეფექტი, ქალაქის მოურავი და მრავალნი მეგობარნი. დაინახა თუ არა ჟანდარმების უნტერ-აფიცერმა, წამსვე მივარდა, შეიპყრო და ციხეში გაგზავნა. ხალხი დიდად ნასიამოვნები დარჩა“.

მეორე გვერდზედ შემდეგი ამბავია დაბეჭდილი.

*** ავაზაკის დაპატიმრება. გუშინ პოლიციამ შეიპყრო ცნობილი ავაზაკი ჯაკომინო. პრეფექტი, ქალაქის მოურავი და სხ. მიუახლოვდნენ და მიესალმნენ. მუსიკამ დაუკრა სამხრო ჰიმნი; ხალხი აღტაცებით მიეგება. ხვალ იმის პატივსაცემლად დიდი ნადიმი გაიმართება.

თურმე მეტრამპაჟს სტამბაში ეს ორი ამბავი აურევია და მკითხველნი გაოცებულნი დარჩნენ.

### მოსწრებული სიტყვა

ერთმა გასათხოვარმა ქალმა ბულკი იყიდა. გასტეხა და შიგ ჭია აღმოჩნდა.

— ამ ჭიას რა უნდა აქაო,—იკითხა წყენით.

— შე დალოცვილო, მიუგო ბულკის გამყიდავმა, ერთ შაურად შიგ „ჟენიხს“ ხომ არ ჩაგისვამდიო.

—

კინტო საზამთროსა ჰყიდდა. მივიდა ერთი კაცი; საზამთრო აირჩია და ხელი მოუჭირა.

— რატომ ხმა არა აქვსო, ჰკითხა?

— ვა! აბდულ ბალი ხომ არა ზის შიგა, რომ ხმა ჰქონდესო, მიუგო კინტომ.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

კავკავის ქართულ [illegible] წიგნთ-საცავს კიდევ შემოსწირეს ფულად შემდეგმა პირებმა, [illegible] ბედოშვილმა 3 მანეთი, ქ-მა ელისაბედ სიმონოვისამ 3 მანეთი, ქ-მა ელისაბედ მოზდოკელოვისამ 2 მანეთი, ეკატერინა მოზდოკელოვისამ 2 მან, დავით როგოვსკიმ, ნ. როგოვსკისამ, ივანე მრევლიშვილმა და ალექსი ფარადოვმა თითო მანეთი. კოსო აბრამიძემ და ალექსი დიდებაშვილმა ათ-ათი შაური სულ 15 მანეთი; აქედგან წიგნების დაკაზმაში მივეცით 7 მანეთი და დანარჩენი ჩვენა გვაქვს. წიგნები შემოსწირეს: ივ. ილურიძემ, ა. სარაჯიშვილმა, მაჭავარიანა, მიხეილ ლუდუშაურმა, ივანე იოსელიანმა, გრიგოლ კოხრეიძემ, სილოვან ხუნდაძემ, ოსე კალანდარიშვილმა, ნ.ნ. ლოლაძემ, გ. ს. გვარამაძე შეგვპირდა სხვა დ სხვა ქართულ წიგნებს.

ყველა ზემოხსენებულთ, როგორც ფულის, ისე წიგნების შემომწირველთ უგულითადეს მადლობას ვსწირავ და ვიმედოვნებ, რომ სხვებიც არ დაიზარებენ და არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და შემწეობას ბიბლიოტეკის გამართვის საქმეში.

კავკავის სკოლის მასწავლებელი.

ლ. ბოცვაძე

30 ივლისი 1893 წ.

ქ. კავკავი.

### II

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოვაცხადებინოთ იმათთვს, ვინც ჩემდამი რწმუნებულს ხრიალეთის ახლად აშენებულს მთავარ-ანგელოზის ეკლესიას შემოსწირეს ფულად:

თავადმა იოსებ ნაკაშიძემ 10 მანეთი. სოლომონ მეჯიშვილმა 10 მან, მარინე მეგრელიძის ასულმა 6 მან, ელისაბედ იობაშვილის ასულმა 5 მან, პელაგია მუსაგანაძისამ 5 მან, ტერეზია კეჭაღმაძისამ 3 მან, ნინო ჯაყელის ასულმა 2 მან, ალათი ბოლქვაძის ასულმა 4 მან, ეკატერინა სადრაძის ასულმა 1 მან, ქალა გოგინიაშვილის ასულმა 5 მან, ვინატრი მეგრელიძის ასულმა 2 მან, მელანკი მეგრელიძისამ 1 მან, ა. მეგრელიძემ 1 მან, ფილიპე მეგრელიძემ 1 მან, რომანოზ მეგრელიძემ 1 მან, ელისაბედ მუსაგანაძისამ 1 მან, ალექსანდრე ალენიკოვმა 40 კაპ, ვინატრე ქარცივაძისამ 1 მან, რომანოზ ჩხეიძემ 1 მან, სარა კეჭაღმაძისამ 1 აან, ათინო კეჭაღმაძისამ 1 მან,

---

ბიძასთან, წარჩინებულ რაბინთან, გავიქეც. არ ვიცი თავისდროზე მიველ თუ არა. დიდი უბედურება და მწუხარება კაცის სიცოხლესა რევს, თვალს უბნელებს, გიჟადა ჰყოფს... როგორც მაგინდება, დიდს რაბინს სადილი გაეჩაღებინა. მაინც მიმიღო.

ბატონო,—ვუთხარი მე,—თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ხანდისხან ისეთს გარემოებაში ვვარდებით, რომ ყოველი სიძულვილი უნდა დავივიწყოთ.რაბინი სახტად დარჩა და დამაშტერდა. მე ისევ განვაგრძე:

— თქვენი დისწული სიკვდილის პირას არის.

— ჩემი დისწული?.. ვინ დისწული? მე დისწული არა მყავს.

— ბატონო, რა დრო ეგეებია... მე თქვენა გთხოვთ, თუ რამ უსიამოვნება მოგივიდათ, ახლა მაინც დაივიწყოთ... მე კაპიტნის ქვრივზე, ქ-ბნ დელოშზე, მოგახსენებთ...

— ეს გვარი პირველად მესმის, ჩემო შვილო. ალბად გვარები შეგშლიათ.

და ნელ-ნელა კარებთან მიმიყვანა. ალბად მასხარად ან გიჟად ჩამსახა. მართლადაც, საშინელი სახე უნდა უნდა მქონოდა. ჩემს ყურებს მე თითონ არ ვუჯეროდი. ჩემთვის ეს სიტყვები ისეთი მოულოდნელი, ისე საშინელი იყო... მაშ მატყუებდა?.. რისთვის?.. ერთბაშად თავში ერთმა აზრმა გამირბინა. ერთის მის მოწაფის, ფრიად ცნობილ მებანკეს ქალის, ადრესი მქონდა და იმისკენ გავსწიე.

მსახურს ვეკითხები: „ქ-ბნ დელოშს იცნობთ?

— „აქ არ გახლავთ, ბატონო.

— ვიცი. მე სხვა რამ უნდა მეკითხნა... ის თქვენის ბატონის ქალებს პიანოზე დაკვრას ასწავლის.

— „აქ არც არავინ ქალებია და არც პიანო გვაქვს... არ ვიცი, რის თქმა გნებავთ.

და ცხვირწინ კარები მომიხურა.

სხვაგან წასვლა და გამოკითხვა მეტად მივიჩნიე. დარწმუნებული ვიყავ ყველგან ერთსა და იმავე პასუხს მივიღებდი. ჩვენს საცოდავს პატარა სახლში რომ დავბრუნდი, ხელში სენ-ჟერმენის ფოსტის ბეჭედ-დაკრული წერილი მომცეს. კონვერტი გავხსენი, წერილის შინაარსი-კი წინდაწინვე ვიცოდი. არც რევიზორი იცნობდა ქ-ბნს დელოშს. ამასთან იწერებოდა—ცოლშვილიანი არაოდეს არა ვყოფილვარო.

ესეც უკანასკნელი ლახვარი ეცა ჩემს გულს. მაშ ხუთის წლის განმავლობაში ყველა მის სიტყვაში სიცრუის მეტი არა იყო-რა?.. ათასნაირმა ეჭვმა მთელი ჩემი არსება შეიპყრო. შევიჭერი გიჟურად მის ოთახში. სულსა ლევდა. ყველა კითხვები, რაც-კი გულს მილონებდა, მომაკვდავს ერთბაშად მივაყარე: „ამ კვირას სენ-ჟერმენში რისთვის წახველი? ის დღე ვისთან გაატარე?.. იმ ღამეს სად იწექ?.. ჰა, მიპასუხე, ჩქარა!“ მის ამაყ და ლამაზ თვალების სიღრმეში მოუთმენლად ველოდი პასუხს; მაგრამ ამაოდ;—ხმას არ იღებდა, უგრძნობლად იწვა.

სიბრაზისაგან აკანკალებულის ხმით ისევ დავიწყე: „მატყუებდით, თორემ გაკვეთილებზედ თქვენ არსად გივლიათ. ყველგან დავიარე, ყველასა ვკითხე. ვისაც მივმართე, შენი ნაცნობები ერთიც არ აღმოჩნდა... ახლა ის მითხარი, ამოდენა ფულს, ძვირფას სამკაულებს, აბრეშუმის ტანისამოსს ვინ გაძლევდა?“ ქალმა მწუხარებით შემომხედა, და ის-ის იყო, შემეცოდა, სიკვდილის წამს არ უნდა შემეწუხებინა... მაგრამ ჩემის განუსაზღვრელის სიყვარულისათვის რაღა უნდა მეთქვა? იჭვიანობამ სიბრალულის გრძნობა დამიხშო. ისევ განვაგრძე: „შენ მე მთელის ხუთის წლის განმავლობაში მატყუებდი. ყოველ დღე, ყოველ საათს სიცრუის მეტს არას მეუბნებოდი. შენ მთელი ჩემი სიცოცხლე ხელის გულსავით გადაშლილი გქონდა, ჩემი ყველაფერი იცოდი, შენი სიცოცხლე-კი ჩემთვის საიდუმლოებას შეადგენდა. სრულიად არა ვიცოდი-რა შენი; სახელი რა არის, ისიც-კი არ ვიცოდი, რა გერქვა: ამიტომ რომ შენს სახელს არ ატარებდი. ოხ! მატყუარავ, მატყუარავ! არა, ხომ კვდები, ის მაინც ვიცოდე, რა სახელი დაგიძახო... ღმერთს შეხედე, ღმერთს, მითხარი ვინა ხარ? სადაური ხარ? რა ჩაიდინე ჩემს სიცოცხლეში?.. ახლა მაინც ამოიღე ხმა! ახლა მაინც მითხარი რამე!“

ამაო ცდა იყო! იმის მაგივრად, რომ ჩემთვის პასუხი მოეცა, პირი კედლისკენ მიიბრუნა თითქოს შეეშინდა—უკანასკნელმა შეხედვამ ჩემი საიდუმლოება არ გაამჟღავნოსო.. და, აი, ამ გვარად კიდეც სული დალია უბედურმა!.. ისე მოკვდა, რომ თავისი ვინაობა მაინც არ გაამხილა... ბოლომდე მატყუარად დარჩა.

თ. სა—კია

ანნა ართმელაძისამ 1 მან, კესარია გორდელაძისამ 1 მან, პოლინე ხომერიკისამ 1 მან, სოფიო ქარცივაძისამ 1 მან, მარინე ხომერიკისამ 1 მან, სადა ბოლქვაძისამ 1 მან, დ. გიგინეიშვილმა 1 მან, ე. კოპლატაძემ 1 მან, მ-დ. გ. ხუტუღაიშვილმა 1 მან, ე. თავართქილაძემ 1 მან, ზ. კომახიძემ 1 მან, ივლიტე გეწაღმაძის ასულმა 1 მან, მღ. ნ. კიღურაძემ 1 მან, მ. ფარეიშვილმა 10 მან, ი. თავართქილაძემ 1 მან, ივანე ჩხეიძემ 1 მან, ჯ. ბაჯუნაიშვილმა 1 მან, უ. ნინიძემ 50 კაპ, ლ. ხომერიკმა 50 ს. ქარცივაძემ 40 კაპ, კ. ხომერიკმა 50 კაპ. სულ სხვა და სხვა პირთაგან შემოვიდა 130 მანეთი 80 კაპ, რომელ ფულებითაც შეძენილ იქმნა ეკკლესიისათვის: კანდელი, დროშა, ორი სანთლე, ჯვარცმანი მაცხოვრის ხატი და სხვა ამასთან მადლობას ვუცხადებ მარინე მეგრელიძის ასულს და ეკატერინა სადრაძის ასულს, რომელთაც მიიღეს დიდი შრომა და მონაწილეობა ზემოაღნიშნულის ფულების მოკრებაში.

მღვდელი იოსებ მეგრელიძე

30 ივლისი. 1993 წ.

ს. ხრიალეთი.

---

# დეპეშა

9 აგვისტო

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკაზედ ყველაზედ კარგად იყიდება ტილო. სამხრეთ რუსეთიდგანა და კავკასიიდგან იარმუკაზედ იყიდეს დიდ ძალი მიტკალი და ტილო.

გუშინ იარმუკის თავმჯდომარედ ერთ ხმად აირჩიეს ს. ტ. მოროზოვი.

**ოდესა.** პოდოლის გუბერნიაში ავსტრიის აგენტები დიდძალ პურსა ყიდულობენ და მეტ ფასს იძლევიან, ვიდრე ოდესაში; პურს ყიდულობენ აგრედვე ხოტინის მაზრაში. ამბობენ, ავსტრია თავის პურს გერმანიაზე ჰყიდის და თავისთვის რუსეთში ყიდულობსო.

**პარიჟი.** საპარლამენტო არჩევანები წესიერად დაიწყო. დრაგინიანში ამომრჩეველთა კრება დაშალეს უწესოებისთვის. კლემანსოს კიჟინა დასცეს და უსტვინეს.

10 აგვისტო

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთა, ეროზისა, ქალაქისა ოთხ-ფეხ საქონლის მომშენებელთა და ხორცით მოვაჭრეთა წარმომადგენელთა კომისიამ გარდასწყვიტა, რათა საერთო ფასი იქმნას დაწესებული, უნდა დაწესდეს დიდს ქალაქებში განსაკუთრებული ბიუროები. საქონლის პატრონი ისე ჰგზავნის საქონელს რკინის გზით, რომ წინდაწინვე ფასს არ ადებს; ბიუროები საჯაროდ გაჰყიდის, რკინის გზის ხარჯს გამოვა და ფულს საქონლის პატრონს გაუგზავნის.

**ვილნო.** დღეს, დილის 10 საათზედ, მობრძანდნენ ვილნოს დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

**რომი.** საფრანგეთის წინააღმდეგ დემონსტრაციები ხელმეორედ მოხდა და უფრო შესამჩნევად, ვიდრე პირველად იყო; მესინგში ხალხის ბრბომ ჩამოგლიჯა და დასწვა ღერბი საფრანგეთის საელჩოსი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაითხოვა თანამდებობიდგან რომის პრეფექტი და ინსპექტორი მაინეტტი; სხვათა შესახებ მინისტრმა განკარგულება მოახდინა, გამოძიება დაიწყოს და პასუხის გებაში იქმნან მიცემულნი, ვინც წესიერება დაარღვიაო.

**პარიჟი.** ოფიციალურ ცნობებით არჩეულ იქმნა პარლამენტში 312 რესპუბლიკანელი, 30 სოციალისტი და რადიკალი, 13 რესპუბლიკის მომხრე კონსერვატორი და 56 კონსერვატორი; ხელმეორედ კენჭი უნდა უყარონ 155 კანდიდატს. ხელმეორედ კენჭის ყრა სასარგებლო იქმნება რესპუბლიკანელთათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,74 | 7,77 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 154¹/₂ | 155¹/₂ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 241¹/₂ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225¹/₂ |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194¹/₄ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6⁰/₀. . . . . . | 101¹/₂ | — „ | — „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | 101¹/₂ | — „ | — „ |
| 5⁰/₀. . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 98³/₄ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ყკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—85)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. | | |

---

## გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშში ტკივილებისა.

ჟ. გ. რუდკოვსკი, 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## კოწია თუთაევის
### ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20⁰/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—37) ხღ. თუთაევი

---

გმოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**ახალი წიგნი**

ვალერიან გუნიასი

## დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Августа 1893 г.

სტამბა მ შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**